



აღმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 25 თებერვალი, 2016 წელი

დრო: 14:00 – 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა წულაია - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
2. კახა გოგოლაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
3. ოლეგ შატერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
4. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. ივანე ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
7. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
8. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
9. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
10. ირაკლი ქასრაშვილი - საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „მერსი ქორფს“- ის წარმომადგენლობა საქართველოში
11. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
12. ნინო სამველიძე - „პი ემ სი“ კვლევითი ცენტრი

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

განსახილველი საკითხები:

1. „საქართველოს საინოვაციო განვითარება - პრობლემები და პერსპექტივები“, ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია „ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის“, თავმჯდომარე;
2. „სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციისა და იჯარით გაცემის შესახებ ქვეყანაში არსებული ვითარება (კონკრეტული მაგალითების განხილვა)“, თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. ეროვნული პლატფორმის საერთო კრებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, ლაშა ტულუში, ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე;
4. მეორე სამუშაო ჯგუფის 2016 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
5. მე-2 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორების კანდიდატურების დასახელება

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფმა მოისმინა ასოციაცია „ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის“ თავმჯდომარის მოხსენება თემაზე: „საქართველოს საინოვაციო განვითარება - პრობლემები და პერსპექტივები“. ბატონმა ოლეგმა მოკლედ მიმოიხილა კანონი ინოვაციის შესახებ, ასევე ისაუბრა იმ გამოწვევებზე რასაც, დარგი დღეის მდგომარეობით განიცდის.

მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა კახა გოგოლაშვილმა შესთავაზა წინადადება, შემუშავდეს განცხადება რეკომენდაციებთან ერთად და გავრცელდეს პლატფორმის სახელით. დამსწრეებმა იმსჯელეს განცხადების შინაარსზე და ბატონ ოლეგს შესთავაზეს რამდენიმე საკითხი, რაც განცხადებაში მათი აზრით, უნდა იყოს ხაზგასმული.

შეხვედრის შემდეგი ნაწილი დაეთმო საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის „საქართველოს ჩაი“-ის თავმჯდომარის, ბატონი თენგიზ სვანიძის პრეზენტაციას. მან ისაუბრა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციისა და მათი იჯარით გაცემის შესახებ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ გამოვლენილ გამოწვევებთან დაკავშირებით ოფიციალური წერილები გაუგზავნეს საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომიტეტს, თუმცა პასუხები ჯერ კიდევ არ მიუღიათ.

მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა წულაიამ დააყენა ინიციატივა, ბატონი თენგიზის მიერ განხილულ თემაზე, მოაწყონ შეხვედრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან. პლატფორმის თავმჯდომარემ, ბატონმა ლაშა ტულუშმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა მთავრობის მიერ მემორანდუმით აღებულ ვალდებულებას, სამინისტროების წარმომადგენლები შეხვდნენ პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და განიხილონ პლატფორმის მიერ ინიცირებული საკითხები. გარდა ამისა, დამატებით მექანიზმად ბატონ თენგიზს შესთავაზა მოამზადოს სტატია და დაიბეჭდოს გაზეთ „რეზონანსში“. ბატონმა ლაშამ მოკლედ ისაუბრა ასევე საერთო კრების პროცედურულ საკითხებზე და მადლობა გადაუხადა ჯგუფის წევრებს თანამშრომლობისთვის.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, ჯგუფმა განიხილა ჯგუფის კოორდინატორების დასახელების საკითხი. ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება კოორდინატორები დასახელდეს საერთო

კრებაზე. აქვე გაჟღერდა წინადადებები მოხდეს ჯგუფის საქმიანობის მეტი გააქტიურება. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ლია თოდუამ აღნიშნა, რომ ჯგუფების აქტიურობისთვის საჭიროა მეტი სიმკაცრე ჯგუფის წევრებისადმი და უმჯობესი იქნება თუ ამოქმედდება წესდებაში გათვალისწინებული სანქციები.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა, ბატონმა ვახტანგ ზარქუამ კი ყურადღება გაამახვილა მეტად ჯგუფის მოტივაციის ზრდაზე, ვიდრე სანქციების დაწესებაზე.

შეხვედრის დასკვნით ეტაპზე ჯგუფმა დაამტკიცა სამოქმედო გეგმა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.